

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 8

საოპერაციო სეგმენტები

ძირითადი პრინციპი

1. საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს მისი სამეწარმეო საქმიანობის ხასიათის, ფინანსური ეფექტისა და იმ ეკონომიკური გარემოს შეფასება, რომელშიც საწარმო ეწევა საქმიანობას.

მოქმედების სფერო

2. მოცემული ფასს სტანდარტი გამოიყენება:
 - ა) იმ საწარმოს განცალკევებული ან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის:
 - (i) რომლის სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები იყიდება საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე (საშინაო ან უცხოურ საფონდო ბირჟაზე, ან ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე, მათ შორის ადგილობრივ და რეგიონალურ ბაზრებზე); ან
 - (ii) რომელიც საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე რომელიმე კლასის ინსტრუმენტების გამოშვების მიზნით ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანიზაციაში, ან წარდგენის პროცესში იმყოფება; და
 - ბ) ისეთი ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის:
 - (i) რომლის მშობელი საწარმოს სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები იყიდება საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე (საშინაო ან უცხოურ საფონდო ბირჟაზე, ან ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე, მათ შორის ადგილობრივ და რეგიონალურ ბაზრებზე); ან
 - (ii) რომლის მშობელი საწარმო, საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე რომელიმე კლასის ინსტრუმენტების გამოშვების მიზნით, თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანიზაციაში, ან წარდგენის პროცესში იმყოფება.
3. თუ საწარმო, რომელსაც არ მოეთხოვება მოცემული ფასს სტანდარტის გამოყენება, გადაწყვეტს, ფინანსურ ანგარიშგებაში სეგმენტების შესახებ ისეთი ინფორმაცია გაამჟღავნოს, რომელიც არ შეესაბამება მოცემულ ფასს სტანდარტს, მან ამ ინფორმაციას არ უნდა უწოდოს სეგმენტური ინფორმაცია.
4. თუ ფინანსური ანგარიში მოიცავს მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მოცემული ფასს სტანდარტის მოქმედების სფეროში ხვდება და ამავე დროს მშობელი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასაც, მაშინ სეგმენტური ინფორმაციის წარდგენა მოითხოვება მხოლოდ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო სეგმენტები

5. საოპერაციო სეგმენტი არის საწარმოს კომპონენტი:
 - ა) რომელსაც უკავია ბიზნესის ისეთი ნაწილი, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება (იმ ამონაგებისა და ხარჯების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია იმავე საწარმოს სხვა კომპონენტებთან);
 - ბ) რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს საწარმოში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მისი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად; და
 - გ) რომლის შესახებაც არსებობს განცალკევებული ფინანსური ინფორმაცია.

საოპერაციო სეგმენტი შეიძლება ბიზნესის ისეთი ნაწილი იყოს, საიდანაც საწარმოს ჯერ არ მიუღია ამონაგები, მაგალითად, ახლად ამოქმედებული ქვედანაყოფი შეიძლება იყოს საოპერაციო სეგმენტი ამონაგების მიღებამდე.

6. აუცილებელი არ არის, რომ საწარმოს ყველა შემადგენელი ნაწილი საოპერაციო სეგმენტი ან საოპერაციო სეგმენტის ნაწილი იყოს. მაგალითად, მთავარი კორპორაციული გამგეობა ან რომელიმე ფუნქციონალური დეპარტამენტი შეიძლება არ ქმნიდეს ამონაგებს, ან ქმნიდეს ისეთი სახის ამონაგებს, რომელსაც შემთხვევითი ხასიათი გააჩნია და საწარმოს საქმიანობის თანმდევი. ამ შემთხვევაში იგი არ წარმოადგენს საოპერაციო სეგმენტს. მოცემული ფასს სტანდარტის მიზნებისთვის, საწარმოს შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამა არ წარმოადგენს საოპერაციო სეგმენტს.
7. ტერმინი „საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი“ განსაზღვრავს ფუნქციას და არა მაინცდამაინც სპეციალური უფლებამოსილების მქონე მენეჯერს. ეს ფუნქცია განკუთვნილია საწარმოს საოპერაციო სეგმენტებზე რესურსების განაწილებისა და მათი საქმიანობის შედეგების შეფასებისათვის. ხშირად საწარმოს საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი არის საწარმოს მთავარი აღმასრულებელი ან მთავარი ოპერატიული მუშაკი, მაგრამ შეიძლება იყოს, მაგალითად, აღმასრულებელი დირექტორების და სხვა ჯგუფი.
8. მრავალი საწარმოსათვის მე-5 პუნქტში აღწერილი საოპერაციო სეგმენტის სამი მახასიათებელი ნათლად განსაზღვრავს მის საოპერაციო სეგმენტებს. თუმცა, საწარმო შეიძლება ისეთ ანგარიშებს ადგენდეს, სადაც მისი სამეწარმეო საქმიანობა სხვადასხვა გზით იქნება წარმოდგენილი. თუ საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი სეგმენტური ინფორმაციის ერთზე მეტ სხვადასხვანაირ ნაკრებს იყენებს, მაშინ სხვა ფაქტორები შეიძლება განსაზღვრავდეს კომპონენტების რომელიმე ერთ ნაკრებს, რომელიც საწარმოს საოპერაციო სეგმენტებს წარმოადგენს. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს თითოეული კომპონენტის სამეწარმეო საქმიანობის ხასიათი, მათზე პასუხისმგებელი მენეჯერების არსებობა და დირექტორთა საბჭოსადმი წარდგენილი ინფორმაცია.
9. საზოგადოდ, საოპერაციო სეგმენტს ჰყავს სეგმენტის მენეჯერი, რომელიც უშუალოდ არის ანგარიშვალდებული საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირის წინაშე და მასთან რეგულარულად თანამშრომლობს საოპერაციო საქმიანობის, ფინანსური შედეგების, სეგმენტის პროგნოზების ან გეგმების განსახილველად. ტერმინი „სეგმენტის მენეჯერი“ აღნიშნავს ფუნქციას და არა მაინცდამაინც სპეციალური უფლებამოსილების მქონე მენეჯერს. საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი ამავე დროს შეიძლება იყოს ზოგიერთი საოპერაციო სეგმენტის მენეჯერიც. ერთი პიროვნება შეიძლება იყოს ერთზე მეტი სეგმენტის მენეჯერი. თუ მე-5 პუნქტის მახასიათებლები მიეყენება ორგანიზაციის კომპონენტების ერთზე მეტ სხვადასხვანაირ ნაკრებს, მაგრამ ამათგან მხოლოდ ერთია ისეთი, რომელზეც სეგმენტის მენეჯერები არიან პასუხისმგებელი, სწორედ კომპონენტების აღნიშნული ნაკრები იქნება საოპერაციო სეგმენტი.
10. მე-5 პუნქტის მახასიათებლების მიყენება შესაძლებელია კომპონენტების ერთზე მეტი სხვადასხვანაირი ნაკრებისათვის, რომელზეც მენეჯერებს აქვთ დაკისრებული პასუხისმგებლობა. ამგვარ სტრუქტურას ზოგჯერ ორგანიზაციის მატრიცულ ფორმას უწოდებენ. მაგალითად, ზოგიერთ საწარმოში ზოგი მენეჯერი მსოფლიო მასშტაბით არის პასუხისმგებელი პროდუქციისა და მომსახურების სხვადასხვა ასორტიმენტზე, ხოლო ზოგი - მხოლოდ გარკვეული რეგიონის ფარგლებში. საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი რეგულარულად იხილავს კომპონენტების ორივე ნაკრების საოპერაციო შედეგებს და ფინანსური ინფორმაციაც ორივეს შესახებ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ ამ ფასს სტანდარტის ძირითადი პრინციპის მიხედვით უნდა განსაზღვროს, კომპონენტების რომელი ნაკრები წარმოადგენს საწარმოსათვის საოპერაციო სეგმენტს.

საანგარიშგებო სეგმენტები

11. საწარმომ ცალკე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს თითოეული საოპერაციო სეგმენტის შესახებ, რომელიც:
- ა) საოპერაციო სეგმენტად განისაზღვრა 5-10 პუნქტების შესაბამისად, ან მიღებულია ერთი ან მეტი ამგვარი სეგმენტის აგრეგირებით, მე-12 პუნქტის შესაბამისად; და
 - ბ) აღმატება მე-13 პუნქტით განსაზღვრულ რაოდენობრივ ზღვარს.
- 14-19 პუნქტებში განხილულია კონკრეტული სიტუაციები, რა შემთხვევაშიც ცალკე ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი საოპერაციო სეგმენტის შესახებ.

აგრეგირების კრიტერიუმები

12. ხშირად საოპერაციო სეგმენტებისათვის მსგავსი გრძელვადიანი ფინანსური მაჩვენებლები არის დამახასიათებელი, თუ მათ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები აქვთ. მაგალითად, მოსალოდნელია, რომ ორ საოპერაციო სეგმენტს მსგავსი გრძელვადიანი საშუალო საერთო მარჟა ექნება, თუ მათი ეკონომიკური მახასიათებლები მსგავსი იყო. შესაძლებელია ორი ან მეტი საოპერაციო სეგმენტის აგრეგირება ერთ საოპერაციო სეგმენტად, თუ აგრეგირება შეესაბამება მოცემული ფასს სტანდარტის ძირითად პრინციპს, სეგმენტებს მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები აქვთ და ეს სეგმენტები მსგავსია თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტის მიხედვით:
- ა) პროდუქციისა და მომსახურების ხასიათი;
 - ბ) საწარმოო პროცესების ხასიათი;
 - გ) პროდუქციისა და მომსახურების მომხმარებლების ტიპი ან კატეგორია;
 - დ) პროდუქციის განაწილების ან მომსახურების გასაწევად გამოყენებული მეთოდები;
 - ე) მარეგულირებელი გარემოს ხასიათი, მაგალითად, საბანკო საქმე, დაზღვევა ან კომუნალური მომსახურება.

რაოდენობრივი ზღვრები

13. საწარმომ ცალკე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს საოპერაციო სეგმენტის შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი რაოდენობრივი ზღვრებიდან რომელიმეს:
- ა) მისი საანგარიშგებო ამონაგები, რომელიც მოიცავს როგორც გარე მომხმარებელზე რეალიზაციას, ასევე სეგმენტთაშორის გაყიდვებს ან ტრანსფერს, შეადგენს ყველა საოპერაციო სეგმენტის შიდა და გარე, გაერთიანებული ამონაგების 10 %-ს ან მეტს;
 - ბ) მისი საანგარიშგებო მოგების ან ზარალის აბსოლუტური თანხა შეადგენს შემდეგი ორი აბსოლუტური სიდიდიდან უდიდესის 10%-ს ან მეტს: (1) ყველა ისეთი საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული საანგარიშგებო მოგება, რომელსაც ზარალი არ წარუდგენია და (2) ყველა ისეთი საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული საანგარიშგებო ზარალი, რომელსაც ზარალი აქვს წარდგენილი;
 - გ) მისი აქტივები შეადგენს ყველა საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული აქტივების 10 %-ს ან მეტს.

საოპერაციო სეგმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს რომელიმე რაოდენობრივ ზღვარს, შეიძლება მიჩნეული იყოს საანგარიშგებო სეგმენტად და ცალკე აისახოს ანგარიშგებაში, თუ ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ინფორმაცია ამ სეგმენტის შესახებ სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის.

14. საანგარიშგებო სეგმენტის წარსადგენად საწარმოს უფლება აქვს ინფორმაცია გააერთიანოს ისეთი საოპერაციო სეგმენტების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ რაოდენობრივ ზღვრებს; ამასთან, მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ საოპერაციო სეგმენტებს მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები აქვთ და აკმაყოფილებენ მე-12 პუნქტში განხილული აგრეგირების კრიტერიუმების უმეტესობას.

15. თუ საოპერაციო სეგმენტების მიხედვით წარდგენილი მთლიანი გარე ამონაგები საწარმოს ამონაგების 75 %-ზე ნაკლებია, მაშინ დამატებით სხვა საოპერაციო სეგმენტებიც უნდა განისაზღვროს, როგორც საანგარიშგებო სეგმენტები (მაშინაც კი, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ მე-13 პუნქტის კრიტერიუმებს), სანამ საწარმოს ამონაგების სულ მცირე 75% მაინც არ მოხვდება საანგარიშგებო სეგმენტებში.
16. სხვა სამეწარმეო საქმიანობებისა და საოპერაციო სეგმენტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე ფასს სტანდარტის მიხედვით არ ექვემდებარება ცალკე წარდგენას, უნდა გაერთიანდეს და აისახოს 28-ე პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად სხვა მუხლებისაგან განცალკევებით, კატეგორიაში „ყველა სხვა სეგმენტი“. უნდა აღიწეროს „ყველა სხვა სეგმენტში“ შესული ამონაგების წყაროები.
17. თუ ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ უშუალო წინა პერიოდში საანგარიშგებო სეგმენტად კლასიფიცირებული საოპერაციო სეგმენტი კვლავაც მნიშვნელოვანია, მაშინ ამ სეგმენტის შესახებ ინფორმაცია ისევ ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი მიმდინარე პერიოდშიც, თუნდაც ის უკვე აღარ აკმაყოფილებდეს საანგარიშგებო სეგმენტისათვის მე-13 პუნქტში დადგენილ კრიტერიუმებს.
18. თუ მიმდინარე პერიოდში საოპერაციო სეგმენტი საანგარიშგებო სეგმენტად კლასიფიცირდება რაოდენობრივი ზღვრების შესაბამისად, მაშინ შესადარისობის მიზნით წარდგენილი წინა პერიოდის მონაცემები ხელახლა უნდა გადაანგარიშდეს, რათა ახალი საანგარიშგებო სეგმენტი ცალკე სეგმენტად აისახოს მაშინაც კი, თუ ეს სეგმენტი წინა პერიოდში არ აკმაყოფილებდა საანგარიშგებო სეგმენტისათვის მე-13 პუნქტში დადგენილ კრიტერიუმებს, თუკი არსებობს აუცილებელი ინფორმაცია და მისი მომზადების დანახარჯები გადაჭარბებული არ არის.
19. არსებობს პრაქტიკული ზღვარი საანგარიშგებო სეგმენტების რაოდენობისათვის, რომელსაც საწარმო ცალკე წარმოადგენს, რომლის მიღმაც სეგმენტური ინფორმაცია შეიძლება ძალიან დეტალური გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი არ არის საანგარიშგებო სეგმენტების რაოდენობის ზუსტი ზღვარი, საწარმომ უნდა განიხილოს, ხომ არ მიაღწია პრაქტიკულ ზღვარს, როდესაც მე-13-18 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული საანგარიშგებო სეგმენტების რაოდენობა ათზე მეტი ხდება.

განმარტებითი შენიშვნები

20. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს მისი სამეწარმეო საქმიანობის ხასიათის, ფინანსური ეფექტისა და იმ ეკონომიკური გარემოს შეფასება, რომელშიც ის ეწევა საქმიანობას.
21. მე-20 პუნქტის პრინციპის ასამოქმედებლად საწარმომ განმარტებით შენიშვნებში თითოეული პერიოდისათვის, რომლისთვისაც წარდგენილი იყო სრული შემოსავლის ანგარიშგება, უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
 - ა) ზოგადი ინფორმაცია, როგორც აღწერილია 22-ე პუნქტში;
 - ბ) ინფორმაცია ანგარიშგებაში წარდგენილი სეგმენტის მოგების ან ზარალის შესახებ, მათ შორის სეგმენტის საანგარიშგებო მოგებაში ან ზარალში გათვალისწინებული ამონაგები და ხარჯები, სეგმენტის აქტივები, სეგმენტის ვალდებულებები და შეფასების საფუძველი, როგორც აღწერილია 23-27-ე პუნქტებში; და
 - გ) შემაჯერებელი ცხრილი, სადაც შემდეგი მონაცემები: სეგმენტის ამონაგები, ანგარიშგებაში წარდგენილი სეგმენტის მოგება ან ზარალი, სეგმენტის აქტივები, სეგმენტის ვალდებულებები და სეგმენტის სხვა არსებითი მუხლები - შესაბამისობაში არის მოყვანილი საწარმოს შესაბამის თანხებთან, როგორც აღწერილია 28-ე პუნქტში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული საანგარიშგებო სეგმენტების თანხების შეჯერება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხებთან მოითხოვება ყველა თარიღისათვის, როდესაც ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა. წინა პერიოდების ინფორმაცია ისე უნდა გადაანგარიშდეს, როგორც აღწერილია 29-ე და 30-ე პუნქტებში.

ზოგადი ინფორმაცია

22. საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) ფაქტორები, რომლებიც გამოყენებული იყო საწარმოს საანგარიშგებო სეგმენტების დასადგენად, მათ შორის მათი ფორმირების საფუძველი (მაგალითად, რა აირჩია ხელმძღვანელობამ საწარმოს ორგანიზებისათვის: პროდუქციასა და მომსახურებაში, გეოგრაფიულ რეგიონებში, მარეგულირებელ გარემოში არსებული განსხვავებები, თუ ფაქტორების რომელიმე კომბინაცია და აგრეგირებულია თუ არა საოპერაციო სეგმენტები);
 - აა) ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული განხილვა და მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მე-12 პუნქტით გათვალისწინებული აგრეგირების კრიტერიუმების გამოყენებას. აქ იგულისხმება იმ საოპერაციო სეგმენტების მოკლე დახასიათება, რომლებიც ამ მეთოდით იყო აგრეგირებული და ასევე იმ ეკონომიკური მაჩვენებლების აღწერა, რომლებიც ხელმძღვანელობამ შეაფასა იმის დასადგენად, რომ აგრეგირებულ საოპერაციო სეგმენტებსაც იგივე ეკონომიკური მახასიათებლები გააჩნია; და
 - ბ) პროდუქციისა და მომსახურების ტიპები, საიდანაც თითოეული საანგარიშგებო სეგმენტი იღებს ამონაგებს.

ინფორმაცია მოგების ან ზარალის, აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ

23. საწარმომ თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის უნდა წარადგინოს მოგების ან ზარალის მაჩვენებლები. საწარმომ თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის იმ შემთხვევაში უნდა წარადგინოს მთლიანი აქტივებისა და ვალდებულებების მაჩვენებელი, თუ ეს თანხები რეგულარულად მიეწოდება გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს. საწარმომ თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის ასევე უნდა გაამჟღავნოს ქვემოთ განხილული ინფორმაცია, თუ ეს თანხები გაითვალისწინება სეგმენტის მოგების ან ზარალის მაჩვენებლის ანალიზში, რომელსაც ატარებს გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ან ეს თანხები რაიმე სხვა მიზნით რეგულარულად მიეწოდება გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს, თუნდაც ისინი გათვალისწინებული არ იყოს სეგმენტის მოგების ან ზარალის მაჩვენებელში:
- ა) გარე მომხმარებლიდან მიღებული ამონაგები;
 - ბ) იმავე საწარმოს სხვა საოპერაციო სეგმენტებთან შესრულებული ოპერაციებიდან მიღებული ამონაგები;
 - გ) პროცენტის სახით მიღებული ამონაგები;
 - დ) საპროცენტო ხარჯი;
 - ე) ცვეთა და ამორტიზაცია;
 - ვ) შემოსავლებისა და ხარჯების არსებითი მუხლები, რომლებიც ასახულია ბასს 1-ის „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ (შესწორებული 2007 წელს) - 97-ე პუნქტის შესაბამისად;
 - ზ) საწარმოს წილი მკვაშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოს მოგებაში ან ზარალში, რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით;
 - თ) მოგების გადასახადის ხარჯი ან შემოსავალი; და
 - ი) არსებითი არაფულადი მუხლები, ცვეთისა და ამორტიზაციის გარდა.

საწარმომ თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის ცალ-ცალკე უნდა წარმოადგინოს პროცენტის სახით მიღებული ამონაგები და საპროცენტო ხარჯი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სეგმენტის ამონაგების უდიდესი ნაწილი პროცენტის სახით მიღებული ამონაგებია და გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი სეგმენტის შედეგების შესაფასებლად და სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, ძირითადად, წმინდა საპროცენტო ამონაგებს ეყრდნობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია ამგვარი სეგმენტის საპროცენტო ამონაგები აჩვენოს საპროცენტო ხარჯის გამოკლებით და მიუთითოს, რომ ასე მოიქცა.

24. საწარმომ თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის უნდა აჩვენოს შემდეგი ინფორმაცია, თუ აღნიშნული თანხები გათვალისწინებული აქვს გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს სეგ-

მენტის აქტივების მაჩვენებელში, ან ეს ინფორმაცია რაიმე სხვა მიზნით რეგულარულად მიეწოდება გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს, თუნდაც ისინი არ იყოს გათვალისწინებული სეგმენტის აქტივების მაჩვენებელში:

- ა) მკვავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოებში ჩადებული ისეთი ინვესტიციების სიდიდე, რომელიც წილობრივი მეთოდით აღირიცხება; და
- ბ) ფინანსური ინსტრუმენტების, გადავადებული საგადასახადო აქტივების, შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების აქტივებისა (იხ. ბასს 19 – „დასაქმებულთა გასამრჯელოები“, პუნქტები 54-58-ე) და სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი უფლებების გარდა სხვა გრძელვადიანი აქტივების მატების თანხები¹.

შეფასება

25. წარმოდგენილი სეგმენტის თითოეული მუხლის შესაბამისი თანხა უნდა იყოს იგივე მაჩვენებელი, რომელიც გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს წარედგინება ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად და სეგმენტის შედეგების შესაფასებლად. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გაკეთებული კორექტირებები და ელიმინირება, ასევე ამონაგების, ხარჯების, შემოსულობებისა და ზარალის მიკუთვნება სეგმენტებზე მხოლოდ მაშინ უნდა იყოს გათვალისწინებული სეგმენტის საანგარიშგებო მოგებაში ან ზარალში, თუ ისინი გათვალისწინებული იყო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირის მიერ სეგმენტის მოგების ან ზარალის მაჩვენებლებში. ანალოგიურად, მოცემული სეგმენტის ინფორმაციაში მხოლოდ ის აქტივები და ვალდებულებები წარედგინება, რომლებიც გაითვალისწინა გადაწყვეტილებების მიმღებმა მთავარმა პირმა სეგმენტის აქტივებისა და ვალდებულებების მაჩვენებლებში. თუ სეგმენტის საანგარიშგებო მოგებაზე ან ზარალზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე თანხების მიკუთვნება ხდება, თანხების განაწილებისათვის უნდა გამოიყენებოდეს რაიმე დასაბუთებული საფუძველი.
26. თუ გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი მოგების ან ზარალის, სეგმენტის აქტივების ან სეგმენტის ვალდებულებების მხოლოდ ერთ მაჩვენებელს იყენებს საოპერაციო სეგმენტის შედეგების შესაფასებლად და სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, მაშინ სეგმენტის მოგება ან ზარალი, აქტივები და ვალდებულებებიც ამ მაჩვენებლებით უნდა იყოს წარმოდგენილი. თუ გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი მოგების ან ზარალის, სეგმენტის აქტივების ან სეგმენტის ვალდებულებებისათვის ერთზე მეტ მაჩვენებელს იყენებს, მაშინ სეგმენტის ინფორმაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ის მაჩვენებლები, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, შეფასების ისეთი პრინციპების შესაბამისად არის განსაზღვრული, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პრინციპებს.
27. საწარმომ თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის შენიშვნებში უნდა განმარტოს სეგმენტის მოგების ან ზარალის, სეგმენტის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებები. როგორც მინიმუმი, საწარმომ უნდა აჩვენოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) საანგარიშგებო სეგმენტებს შორის შესრულებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი;
 - ბ) საანგარიშგებო სეგმენტების მოგება/ზარალისა და მოგების გადასახადის ხარჯამდე არსებული საწარმოს მოგება/ზარალის ან შემოსავლისა და შეწყვეტილი ოპერაციების შეფასებებში არსებული განსხვავებების ხასიათი (თუ ეს არ ჩანს 28-ე პუნქტით გათვალისწინებული შემაჯერებელი ცხრილიდან). განსხვავებების აღწერა უნდა მოიცავდეს სააღრიცხვო პოლიტიკასა და ცენტრალიზებული დანახარჯების სეგმენტებზე მიკუთვნების პოლიტიკას, რაც აუცილებელია ანგარიშგებაში წარმოდგენილი სეგმენტის ინფორმაციის გასაგებად;

¹ საწარმოს ლიკვიდაციის წარდგენის შესაბამისად კლასიფიცირებული აქტივებისათვის გრძელვადიანი აქტივები ისეთი აქტივებია, რომლებიც მოიცავს თანხებს, რომელთა ამოღებაც მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

- გ) საანგარიშგებო სეგმენტების აქტივებისა და საწარმოს აქტივების შეფასებებში არსებული განსხვავებების ხასიათი (თუ ეს არ ჩანს 28-ე პუნქტით გათვალისწინებული შემაჯერებელი ცხრილიდან). განსხვავებების აღწერა უნდა მოიცავდეს იმ სააღრიცხვო პოლიტიკასა და ერთობლივად გამოყენებული აქტივების სეგმენტებზე მიკუთვნების პოლიტიკას, რაც აუცილებელია ანგარიშგებაში წარმოდგენილი სეგმენტის ინფორმაციის გასაგებად;
- დ) საანგარიშგებო სეგმენტების ვალდებულებებსა და საწარმოს ვალდებულებების შეფასებაში არსებული განსხვავებების ხასიათი (თუ ეს არ ჩანს 28-ე პუნქტით გათვალისწინებული შემაჯერებელი ცხრილიდან). განსხვავებების აღწერა უნდა მოიცავდეს იმ სააღრიცხვო პოლიტიკასა და ერთობლივად გამოყენებული ვალდებულებების სეგმენტებზე მიკუთვნების პოლიტიკას, რაც აუცილებელია ანგარიშგებაში წარმოდგენილი სეგმენტის ინფორმაციის გასაგებად;
- ე) საანგარიშგებო სეგმენტის მოგების ან ზარალის განსაზღვრისათვის გამოყენებულ მეთოდებში წინა პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებების დახასიათება და სეგმენტის მოგების ან ზარალის შეფასებაზე ამ ცვლილებების გავლენის აღწერა;
- ვ) ასიმეტრიული განაწილებების დახასიათება და მათი გავლენა საანგარიშგებო სეგმენტებზე. მაგალითად, საწარმომ შეიძლება ცვეთის ხარჯი რომელიმე სეგმენტს მიაკუთვნოს, მაგრამ შესაბამისი ცვეთადი აქტივები ამ სეგმენტს არ მიაკუთვნოს.

შემაჯერებელი მონაცემები

28. საწარმომ უნდა წარმოადგინოს შემაჯერებელი მონაცემები:

- ა) საანგარიშგებო სეგმენტების მთლიანი ამონაგებისა - საწარმოს ამონაგებთან;
- ბ) საანგარიშგებო სეგმენტების მთლიანი მოგების ან ზარალის მაჩვენებლებისა - საწარმოს საგადასახადო ხარჯისა (საგადასახადო შემოსავლის) და შეწყვეტილი ოპერაციების გამო-რიცხვამდე არსებულ საწარმოს მოგებასთან ან ზარალთან. თუმცა, თუ საწარმო საანგარიშგებო სეგმენტებზე ისეთ მუხლებსაც ანაწილებს, როგორცაა, საგადასახადო ხარჯი (საგადასახადო შემოსავალი), მაშინ საწარმოს შეუძლია აჩვენოს სეგმენტების მთლიანი მოგების ან ზარალის მაჩვენებლების შეჯერება საწარმოს მოგების ან ზარალის იმ მაჩვენებლებთან, რომლებიც ამ მუხლების შემდეგ რჩება;
- გ) საანგარიშგებო სეგმენტების მთლიანი აქტივებისა - საწარმოს აქტივებთან, თუ სეგმენტის აქტივები წარმოდგენილია 23-ე პუნქტის შესაბამისად;
- დ) საანგარიშგებო სეგმენტების ვალდებულებების მთლიანი თანხისა - საწარმოს ვალდებულებებთან, თუ სეგმენტის ვალდებულებები წარმოდგენილია 23-ე პუნქტის შესაბამისად;
- ე) საანგარიშგებო სეგმენტების ინფორმაციაში ნაჩვენები თითოეული სხვა არსებითი მუხლის მიხედვით - სეგმენტების მთლიანი თანხების შეჯერება საწარმოს შესაბამის თანხასთან.

ყველა შესაჯერებელი არსებითი მუხლი ცალ-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები და დახასიათებული. მაგალითად, სააღრიცხვო პოლიტიკაში არსებული განსხვავებით გამოწვეული თითოეული არსებითი კორექტირების თანხა, რომელიც საჭიროა საანგარიშგებო სეგმენტის მოგების ან ზარალის შესაბამისობაში მოსაყვანად საწარმოს მოგებასთან ან ზარალთან, ცალ-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები და დახასიათებული.

ადრე წარდგენილი ინფორმაციის გადაანგარიშება

29. თუ საწარმო თავის შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურას იმგვარად ცვლის, რომ ეს იწვევს მისი საანგარიშგებო სეგმენტების შემადგენლობის ცვლილებას, მაშინ ხელახლა უნდა გადაანგარიშდეს წინა პერიოდების შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის შუალედური პერიოდების ინფორმაცია, თუ ეს ინფორმაცია არსებობს და მის მოსამზადებლად საჭირო დანახარჯები გადაჭარბებული არ იქნება. იმის დადგენა, არსებობს თუ არა ზემოაღნიშნული ინფორმაცია და გადაჭარბებული იქნება თუ არა მის მოსამზადებლად საჭირო დანახარჯები, უნდა ხდებოდეს განმარტებით შენიშვნებში ნაჩვენები თითოეული ინდივიდუალური მუხლისთვის. საანგარიშგებო სეგმენტების შემადგენლობის შეცვლის შემდეგ საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა მიუთითოს, გადაანგარიშებული აქვს თუ არა წინა პერიოდების მონაცემები სეგმენტის ინფორმაციის შესაბამისი მუხლებისათვის.

30. თუ საწარმო თავის შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურას იმგვარად ცვლის, რომ ეს იწვევს მისი საანგარიშგებო სეგმენტების შემადგენლობის ცვლილებას, მაგრამ ამ ცვლილებების ასასახად გადაანგარიშებული არ არის წინა პერიოდების სეგმენტის ინფორმაცია, მათ შორის შუალედური პერიოდების ინფორმაცია, საწარმომ იმ წელს, როდესაც ცვლილებები განხორციელდა, მიმდინარე პერიოდის სეგმენტის ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს სეგმენტიზაციის ორივე საფუძვლით - ძველით და ახლით, თუ აუცილებელი ინფორმაცია არსებობს და მის მოსამზადებლად საჭირო დანახარჯები გადაჭარბებული არ იქნება.

საწარმოს დონის ინფორმაცია

31. 32-34-ე პუნქტები ეხება ყველა საწარმოს, რომელზეც მოცემული ფასს სტანდარტი ვრცელდება, მათ შორის იმ საწარმოებსაც, რომელთაც ერთი საანგარიშგებო სეგმენტი აქვთ. ზოგიერთი საწარმოს სამეწარმეო საქმიანობა ორგანიზებული არ არის პროდუქციისა და მომსახურების განსხვავებების ან საქმიანობის გეოგრაფიულ რეგიონებში არსებული განსხვავებების შესაბამისად. ასეთი საწარმოს საანგარიშგებო სეგმენტებში წარმოდგენილი ამონაგები შეიძლება მიღებული იყოს ფართო სპექტრის არსებითად განსხვავებული პროდუქციისა და მომსახურებიდან, ან მისი ერთზე მეტი საანგარიშგებო სეგმენტი შეიძლება წარმოაჩენდეს არსებითად ერთსა და იმავე პროდუქციასა და მომსახურებას. ანალოგიურად, საწარმოს საანგარიშგებო სეგმენტები შეიძლება აქტივებს ფლობდეს სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში და აჩვენებდეს სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონის მომხმარებლებიდან მიღებულ ამონაგებს, ან შეიძლება ერთზე მეტი საანგარიშგებო სეგმენტი ეწეოდეს საქმიანობას ერთსა და იმავე გეოგრაფიულ რეგიონში. ინფორმაცია 32-34-ე პუნქტების მიხედვით მხოლოდ მაშინ უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ ეს ინფორმაცია მოცემული არ იყო წინამდებარე ფასს სტანდარტით მოთხოვნილ საანგარიშგებო სეგმენტის ინფორმაციაში.

ინფორმაცია პროდუქციისა და მომსახურების შესახებ

32. საწარმომ გარე მომხმარებლებიდან მიღებული ამონაგები უნდა აჩვენოს თითოეული სახეობის პროდუქტისა და მომსახურებისათვის, ან მსგავსი პროდუქტებისა და მომსახურების თითოეული ჯგუფისათვის, თუ აუცილებელი ინფორმაცია არსებობს და მის მოსამზადებლად საჭირო დანახარჯები გადაჭარბებული არ იქნება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განმარტებით შენიშვნებში თვითონ ეს ფაქტი უნდა გამოყვანდეს. ანგარიშგებაში ნაჩვენები ამონაგების თანხები უნდა ეყრდნობოდეს იმავე ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად იყო გამოყენებული.

ინფორმაცია გეოგრაფიული რეგიონების შესახებ

33. თუ აუცილებელი ინფორმაცია არსებობს და მის მოსამზადებლად საჭირო დანახარჯები გადაჭარბებული არ იქნება, საწარმომ უნდა წარმოადგინოს შემდეგი გეოგრაფიული ინფორმაცია:
- ა) გარე მომხმარებლებიდან მიღებული მთლიანი ამონაგები (1), რომელიც მიკუთვნებული იყო იმ ქვეყანაზე, სადაც რეგისტრირებულია საწარმო და (2), რომელიც მიკუთვნებული იყო ყველა საზღვარგარეთის ქვეყანაზე. თუ ცალკეულ საზღვარგარეთის ქვეყანაზე მიკუთვნებული გარე მომხმარებლიდან მიღებული ამონაგები არსებითია, ეს ამონაგები ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები. საწარმომ უნდა განმარტოს გარე მომხმარებლიდან მიღებული ამონაგების ცალკეულ ქვეყანაზე მიკუთვნების საფუძველი;
 - ბ) ფინანსური ინსტრუმენტების, გადავადებული საგადასახადო აქტივების, შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების აქტივებისა და სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი უფლებების გარდა, სხვა გრძელვადიანი აქტივები¹, (1), რომლებიც განთავსებულია იმ ქვეყანაში, სადაც რეგისტრირებულია საწარმო და (2), რომლებიც განთავსებულია ყველა საზღვარგარეთის ქვეყანაში, სადაც საწარმო ფლობს აქტივებს. თუ

2. ლიკვიდობის წარდგენის შესაბამისად კლასიფიცირებული აქტივებისათვის, გრძელვადიანი ისეთი აქტივებია, რომლებიც მოიცავს თანხებს, რომელთა ამოღება ივარაუდება საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან არა უმეტეს თორმეტ თვეში.

რომელიმე ინდივიდუალურ საზღვარგარეთის ქვეყანაში განთავსებული აქტივები არსებითია, ეს აქტივები ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები.

წარმოდგენილი თანხები უნდა ეყრდნობოდეს იმავე ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იყო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. თუ აუცილებელი ინფორმაცია არ არსებობს და მის მოსამზადებლად საჭირო დანახარჯები გადაჭარბებული იქნება, მაშინ თავად ეს ფაქტი უნდა განიმარტოს. საწარმომ ამ პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის გარდა შეიძლება აჩვენოს გეოგრაფიული ინფორმაციის ქვეჯგუფური ჯამები ქვეყნების ჯგუფების შესახებ.

ინფორმაცია მთავარი მომხმარებლების შესახებ

34. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად ეყრდნობა მთავარ მომხმარებლებს. თუ ერთი გარე მომხმარებლიდან მიღებული ამონაგები საწარმოს ამონაგების 10 %-ს ან მეტს შეადგენს, მაშინ საწარმომ უნდა განმარტოს თავად ეს ფაქტი, ასევე აჩვენოს თითოეული ამგვარი მომხმარებლიდან მიღებული ამონაგების მთლიანი თანხა და დაასახელოს სეგმენტი ან სეგმენტები, რომლებიც ამ ამონაგებს აჩვენებენ ანგარიშგებაში. საწარმოს არ სჭირდება ისეთი მთავარი მომხმარებლის დასახელება ან ამონაგების თანხის გამჟღავნება, რომელსაც თითოეული სეგმენტი ანგარიშგებაში წარადგენს ამ მომხმარებლიდან. წინამდებარე ფასს სტანდარტის მიზნებისთვის, ანგარიშვალდებულმა საწარმომ ერთ მომხმარებლად უნდა მიიჩნიოს საწარმოთა ჯგუფი, თუ იცის, რომ ის საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფება. თუმცა, საწარმომ უნდა შეაფასოს და გადაწყვეტილება მიიღოს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა, რომ ერთ მომხმარებლად მიიჩნიოს მთავრობა (მათ შორის, სახელმწიფო უწყებები და სხვა ანალოგიური ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციები) და ის საწარმოები, რომელთაც მთავრობა აკონტროლებს. შეფასების დროს ანგარიშვალდებულმა საწარმომ უნდა განიხილოს ამ საწარმოთა ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი.

სტანდარტზე გადასვლა და ძალაში შესვლის თარიღი

35. საწარმომ მოცემული ფასს სტანდარტი უნდა გამოიყენოს იმ პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც იწყება 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. დასაშვებია ვადამდელი გამოყენებაც, თუ საწარმო ამ ფასს სტანდარტს იყენებს 2009 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგებისათვის, მან ფინანსური ანგარიშგები შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.
- 35ა. 23-ე პუნქტი შეიცვალა 2009 წლის აპრილში გამოცემული დოკუმენტის - „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ - შესაბამისად. საწარმომ აღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2010 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრე გამოიყენებს, მან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა განმარტოს ეს ფაქტი.
36. წინა წლების სეგმენტური ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც შესადარისი ინფორმაცია მოცემული ფასს სტანდარტის (მათ შორის, 2009 წლის აპრილში 23-ე პუნქტში შესული ცვლილების) პირველად გამოყენების წლისთვის, ხელახლა უნდა გადაანგარიშდეს ამ ფასს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, თუ აუცილებელი ინფორმაცია არსებობს და მის მოსამზადებლად საჭირო დანახარჯები გადაჭარბებული არ იქნება.
- 36ა. ბასს 1-მა (შესწორებული 2007 წელს) განაპირობა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის შეცვლა. გარდა ამისა, გამოიწვია 23 (ვ) პუნქტის შეცვლა. საწარმომ აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.
- 36ბ. ბასს 24-მა - „*დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები*“ (გადასინჯული 2009 წელს) - განაპირობა 34-ე პუნქტის შეცვლა, რომელიც გამოსაყენებელია 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ბასს 24-ს (გადასინჯული 2009 წელს), მან ამავე პერიოდში უნდა გამოიყენოს წინამდებარე ფასს სტანდარტის 34-ე პუნქტიც.

ფასს 8

- 36გ. 2013 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება - 2010-2012 წლების ციკლი*“ - გამოიწვია 22-ე და 28-ე პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2014 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებას უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

ბასს 14-ის გაუქმება

37. მოცემული ფასს სტანდარტი ცვლის ბასს 14-ს - „*ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით*“.

დანართი ა

ტერმინის განმარტება

ეს დანართი წინამდებარე ფასს სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.

საოპერაციო სეგმენტი

საოპერაციო სეგმენტი არის საწარმოს კომპონენტი:

- ა) რომელსაც უკავია ბიზნესის ისეთი ნაწილი, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება (იმ ამონაგებისა და ხარჯების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია იმავე საწარმოს სხვა კომპონენტებთან);
- ბ) რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს საწარმოში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მისი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად; და
- გ) რომლის შესახებაც არსებობს განცალკევებული ფინანსური ინფორმაცია.